№ 97
ოთხშაბათი, 11 მაისი 1894

1877—1894

ივერია

№ 97
ოთხშაბათი, 11 მაისი 1894

ბაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ბაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპიკი.

კნეინა მარიამ დავითის ასული თარხან მოურავისა, თავადნი ნიკოლოზაზ, კონსტანტინე და ალექსანდრე ბიძინას ძენი, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა ძვირფასისა საყვარელის ძმისა თვისისა, **თავადის მიხეილ ბიძინას ძის ერისთვისასა.** განსვენებული დაკრძალულ იქმნება 11 მაისს, გორის ტაძარში. (2—1)

„ი ვ ე რ ი ა“

გამოდის 1894 წელს
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

ვაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტ ფ ი ლ ი ს ი,
„ივერიის“ რედაქციასა
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა ამით აუწყებს ბ-ნთ წევრთ დამფუძნებელთ და მსესხებელთ ბანკისას, რომ ბანკის წესდების მე-82 §-ის ძალით **საზოგადო კრება დანიშნულია ამ 1894 წლის 12 მაისს, დილის 10 საათზედ,** საადგილ-მამულო ბანკის სახლში, ტფილისს, სასახლის ქუჩაზედ.

საზოგადო კრების საქმენი:

1) განხილვა და დამტკიცება ბანკის 1893 წლის ანგარიშისა.

2) მოხსენება იმის შესახებ, რომ შეცვლილ და შევსებულ იქმნას მე-13, 14, 21, 22, 26, 28, 29, 38 და 54 §§-ი ბანკის წესდებისა.

3) მოხსენება იმის შესახებ, რომ სესხი მიეცეს ერობას, ქალაქებს, საზოგადოებათ და საზოგადოებრივ დაწესებულებად.

4) მოხსენება იმის გამო, რომ ბანკის მოქმედება გავრცელებულ იქმნას მთელს ამიერ-კავკასიაში და ჩრდილოეთ კავკასიაში.

5) მოხსენება იმ შენობის გადაკეთების გამო, რომელშიაც მოთავსებულია ბანკი.

6) მოხსენება იმის შესახებ, რომ მმართველობას ბანკისას მიემატოს კიდევ ერთი წევრი და მისი კანდიდატი.

7) მოხსენება იმის შესახებ, რომ %-ობითი ჯილდო, რომელიც ეძლევათ ბანკის მოხელეთ, შემცირებულ იქმნას.

8) მოხსენება კონვერსიის მდგომარეობის თაობაზედ.

9) მოხსენება კერძოდ აღმორჩეულ კომისიისა დამფასებელ კომისიის დაფასების ინსტრუქციის გადასასინჯავად.

10) მოხსენება იმის შესახებ, რომ ბანკმა თავის საკუთრებად დაიმტკიცოს ქარვასლა და სახლი ფრეილინის ქუჩაზედ.

11) მოხსენება იმის გამო, რომ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთას დაუმტკიცდეს სკრის მამული.

12) განხილვა და დამტკიცება 1894 წლის ბანკის მართვა-გამგეობის ხარჯთ-აღრიცხვისა.

13) მოხსენება იმის შესახებ, რომ 1894 წ. 1 ივლისიდგან $^1/_4$%-ით შემცირებულ იქმნას გარდასახადი, რომელიც ერთმევათ ბანკის მსესხებელთ არა-დამფუძნებელთ სოფლის მამულებზე გატანილის სესხისა ბანკის მართვა-გამგეობისათვის.

14) მოხსენება იმ საპიროებათა შესახებ, რომელთაც უნდა მოხმარდეს საზოგადო საპიროებისათვის წმინდა მოგების 35%-ტით შემდგარი თანხა.

15.) არჩევანნი: ზედამხედველ კომიტეტის ათის წევრისა, მმართველობის თავმჯდომარისა თ. ილია გრიგოლის ძის ჭავჭავაძის მაგიერად და დამფასებელი კომისიის თავმჯდომარისა კონსტანტინე ლუარსაბის ძის ფეტრელაძის მაგიერად, რომელთაც რიგით თავი უნდა დაანებონ სამსახურს.

ტფილისი, 11 მაისს

—

იმაზე უფრო დასაფიქრებელი და ცუდი არა არის-რა ერისათვის, როდესაც მისი წინამძღოლნი და საუმჯობესო მოდვაწენი რაიმე პირადი ანგარიშის მიხედვით, ასცილდებიან ზეშმარიტს გზას და თვისს მომხიბლველის სიტყვებით სთესენ ცხოვრებაში — განხეთქილებას, შურს, ზიზღს და მტრობას.

ეს მოგვლენა მაშინ უფრო სამწუხაროა, თუ საქმე გვაქვს იმისთანა ერთან, რომელიც დასაბამითვე მას სცდილობდა, რომ მიეშვებია სახსარი შეურუეველის, მშვიდობიანის ცხოვრებისა და რომელსაც ეს მცნება ჯერაც ვერ განუხორციელებია და მაშასადამე რომლისათვისაც ბრძოლა, საერთო ბრძოლა საჭიროა!..

ამ შემთხვევაში ყველასას ერთად და თვითეულის ცალკე წმიდა მოვალეობას შეადგენს, მოსპოს ხალხში ყოველივე კერძოობა და შირადობა და ხელის ხელ გარდახვეული ერი წაიყვანოს იმ დიდებულის ტაძრისაკენ, რომელსაც ტაძარი საკუთარი არსებობისა ეწოდება და რომელიც შეადგენს ყოველი ერის ცხოვრების გვირგვინს...

სამწუხაროდ ჩვენდა დღეს ჩვენ გულის კვნესით უნდა გამოვსთქვათ, რომ ეს აზრი უარყოფილია ზოგიერთა ჩვენთაგან და ადძრულია კამათობა ისეთს საკაზე, რომელიც უეჭველად ჩვენში, ისევაც გარეშე მიზეზებისაგან დაქსაქსულ საზოგადოებაში შემოაქვს განხეთქილება, შეტაკება და, ვინ იცის, იქნება უარესიც რამ!.. მერე, ვინ ვის უნდა შეეტაკოს?—„ჩოხოსანი“ „ფრაკოსანს“—ორივე ერთად-კი ქართველები, ის ქართველები, რომელიც დღის ვარამის ბრძოლას ვერ გასვლიან, ვაივაგლახს ვერ გადარჩენილან; ის ქართველები, რომელნიც ერთ მუშა ხალხს წარმოადგენენ და რომელთა თუ დღემდის არ დაულევიათ სული—ეს იმიტომ, რომ მათი სულის ჩამდგმელი იყო მათი სულიერი, ზნეობითი და სარწმუნოებრივი კავშირი! დღეს ამ კავშირზე გაცსარებული იერიშია მიტანილი; მიტანილია ის აზრით, რომ დროთი ისარგებლონ და ეს კავშირი დასცენ სხვა-და-სხვა კრინმანჯულის სიტუაციის წყალობით!..

იყო დრო, როდესაც ის მიგვაჩნდა სამწუხაროდ, სატირლად, რომ «ძველი და ახალი თაობა» ერთმანეერთს ვერ შესთვისებიან და იმითი საზოგადო საქმეს საძირკველი ენგრევაო; მოვესწარითი იმ დღეს, რომ ეს ნაკლი, სულ თუ არა, საგრძნობლად მაინც შემცირდა, განქრა; იყო დრო, როდესაც იმას ვნადვლობდით, რომ სოფელი და ქალაქი, ნასწავლი და უსწავლელი ერთმანეთს დაცილებულია, ერთმანეთის მოკავშირე არ არისო. მაგრამ მოვესწარითი, რომ საზოგადოება ერთობის და კავშირის საჭიროების გრძნობამ გამსჭვალა ჯერ ეს სანადვილი საგანი თითქმის ხელში გამოგვეცალა; იყო დრო, როდესაც ისა გგვარდა თვალზე ცრემლსა, რომ ჩვენი ერის უმეტესობამ, მეტადრე ყრუ სოფლად მცხოვრებმა, ანა-ბანა არ იცის, თანამედროვე ცხოვრებას თვალყურს ვერ ადევნებსო; სამკითხველო არა გვაქვს და წიგნების გამომცემელი საზოგადოება არ გაგვაჩნიაო.—მოვესწარითი იმ დღეს, რომ ესსენი ცოტად—თუ ბევრად შევამცირეთ და იმ დროს, როდესაც ყველაფერი სულის და გულის გაძლიერების იმედს გვაძლევს, გამოლაშქრებულან ისეთნი, რომელთაც უნდათ ყოველივე ესა!.. უარ-ჰყონ!.. მერე და ვინ არიან ისინი? ისინი, არ ვიცით და ის-კი „ვკალის„ «ჩოხოსანი», ბრძანდება, რომელიც ნამდვილად „ფრაკოსანია“ და რომელიც 30—35 წელიწადია იმ გვარ აზრებს, თითონვე დასცინიან, ჭკვიცხავდა, ჭკმობდა, როგორიც უკანასკნელ „ვკალის“ №-ში დაბეჭდილია და რომელსაც „ჭრელი ფიქრები“ ეწოდება!..ეს ის „ჩოხოსანია“, რომელიც ყოველსავე განხეთქილებას სდევნიდა და ერთობაზე ამყარებდა მამულის ბედნიერებას!..

მაგრამ დღეს ჩვენ მხოლოდ ის დაგვშთენია ნუგეშად, რომ ჩვენი ქართველი საზოგადოება, საზოგადოება გაგებული და ჩაკვირვებული, სწორედ იმ ანდაზით ისარგებლებს, რომ, რაც შენის თვალით არ დაინახო, უურით გაგონილს ნუ ერწმუნებიო, რადგან მეგობრობის განსამტკიცებლად მოიმოქმედეთ! არა, არა, არა!

მე ეს არ მჯერა და არც შემიძლია დავიჯერო. არა, მე ვერ შეურიგდები მაგ აზრს, რომლის წარმოდგენაზე ცახცახი მომდის.

ინგლისის დიდებულისა და კეთილშობილის ერის წინაშე თქვენ დედოფალს უფლება აქვს დამნაშავეს დანაშაული აპატიოს და ნუ თუ სადაც ამ უფლებისა ბონაპარტს უნიჩაოს ხელში? ნუ თუ ზეციერ ყოველის შემძლებელთან ერთად ქვეყნერი ყოველის შემძლებელიც არის!—არა!

—

თეორია მაგალითისა და ქმაყოფილებულია. მხოლოდ ერთი ფილოსოფოსი დაღვრემილი და ეკითხება თავის-თავს, ეს არის, რასაც მართლმსაჯულებას ეძახიან, მართლ-მსაჯულებას, რომელიც „თავის მოვალეობას ასრულებს“?

უნდა ვიფიქროთ, რომ ფილოსოფოსი ვერ არის მართალი. სასჯელი იყო შემაძრწუნებელი, მაგრამ დანაშაულიც გულ-შემზარავი იყო. საზოგადოებას უნდა თავის-თავი დაიცვას და დაიფაროს, განა არა? რა მოგვივიდოდა, რომ ეს ასე არ ყოფილიყო და სხვა და სხვა და სხვა? ბოროტმოქმედთა თავ-გასულობას საზღვარი აღარ ექნებოდა. რეპრესიული ღონისძიებანი აუცილებლად საჭიროა. დასასრულ, თქვენს აზრით, მოწყალეო ხელმწიფევ, ტაპნერისთანა კაცები უსათუოდ უნდა ჩამოარჩონ, თუ ისინი იმპერატორები არ არიან.

იყავენ ნება სახელმწიფო კაცთა!

იდეოლოგნი, ოცნებით გატაცებულნი, საკვირველისა და ახირებულის გონების პატრონნი ადამიანნი, რომელთაც გაეგებათ რამე კეთილისა და ბოროტისა, შეუძრწუნებლად ვერ შეჰხვიანენ ზოგიერთ ბედის-წერის ამოცანას.

ტაპნერმა ერთის დედაკაცის მაგიერ რატომ 300 დედაკაცი არ მოჰკლა და, ამას გარდა, რატომ რამდენიმე ასი მოხუცებული და ყმაწვილი არ გაწყვიტა? რატომ კარების გატეხის ნაცვლად ტაპნერმა ფიცი არ გატეხა*) რამდენისამე შილლინგის ნაცვლად რატომ 25 მილიონი არ მოიპარა? იმის მაგივრად, რომ სოფონის სახლს ცეცხლი წაუკიდა, რატომ პარიზს არ დაუშინა ყუმბარებნი? ასე რომ მოქცეულიყო, ეხლა იმას ელჩი ეყოლებოდა ლონდონში.

კარგი-კი იქნებოდა, ვცდილ-ვიყავით და გადაგვეწყვიტა საზღვარი იმისი, თუ სად თავდება ბოროტ-მოქმედება ტაპნერისა და სად იწყება პოლიტიკა Sehinderhannes ისა.

დიაღ, მოწყალეო ხელმწიფევ, ყო-

*) ვიქტორ ჰუგოს წინა წერილმა მთელი კუნძული გერსსი აიღეს და შესძრა. ბევრი მიტინგი შეადგინეს, ინგლისის დედოფალს ადრესი მიართვეს, რომ ტაპნერს სიკვდილით დასჯა პატიეებოდა. ინგლისის გაზეთებმა დაჰბეჭდეს ეს ადრესი და, რასაკვირველია, ჰუგოს მომხრეებდნენ. მთავრობამაც სამჯერ გადადო ტაპნერის დასჯა. ყველა იმ აზრისა იყო, რომ სასიკვდინე განაჩენი გაუქმებული იქნებაო. მაგრამ ერთ მშვენერ დღეს ხმა დავარდა, რომ საფრანგეთის ელჩი ვალეესკი პალმერსტონთან იყოო. ორის დღის შემდეგ, 10 თებერვალს ტაპნერი ჩამოარჩეს. 11 თებერვალს ვიქტორ ჰუგომ, ამ ამბით აღელვებულმა, ეს წერილი გაუგზავნა პალმერსტონს.

*) აქ ვიქტორ ჰუგო გადაჰკრავს ნაპოლეონს, რომელმაც საფრანგეთის რესპუბლიკას ერთგულება შეჰფიცა და შემდგ უღალატა.

გან, როგორც თვით „ჩოხოსანი“ გვაუწყებს, „მართალსა და ტუუილს შუა ერთი ხელის დადების მანძილის მეტი არ არისო“, შეიგენს, რომ დღეს, ჩვენ-და საბედნიეროდ, ჩვენს ქვეყანაში ისეთი არავინ მოიძებნება, რომელიც ჩოხა-ქალამანიანის გაცობრიულ უფლებას და პირადობას სჩაგრავდეს და მედიდურად უყურებდეს, ვითომდა მისთვის, რომ ის ჩოხა-ქალამანიანია და ესკი ფრაკიან ჩექმიანია; შეიგენს, რომ ყოველივე ამ გვარის აზრის გავრცელება დანაშაულობაა, ისეთი დანაშაულება, რომლის გამოსყიდვა ძნელი და საფიქრებელია!..

მენავე

ახალი ამბავი

*** ბათუმი: ქართველ არტისტთა დასი აცხადებს ღრმა წუხარებას ახალგაზდა ნიკიერის ნინოშვილის სიკვდილის გამო.

ვ. გუნია

*** ყვირილიდგან შემდეგი სამძიმრის დეპეშა მოგვივიდა: დიდად ვწუხვართ ასე უდროოდ დაკარგვას ჩვენს ნიკიერის ბელეტრისტის ნინოშვილისას. გუშინ პანაშვიდი გადავიხადეთ. დეკანოზიშვილი, ქიქოძე, ყაზიშვილი, დარჩია დეკანოზიშვილი, ანდრაიძე.

*** გორი. დღეს, მაისის 8-ს, აკადემია ქართველმა საზოგადოებამ ოქონის ღვთის-მშობლის ეკკლესიაში გადიხადა პანაშვიდი განსვენებულ ეგნატე ნინოშვილის მოსახსენიებლად. მასწავლებელმა ილ. ფერაძემ წარმოსთქვა საუხოვო სიტყვა*), რომელიც შესაფერის ყურადღებით და დიდის თანაგრძნობით მოისმინა აქ დამსწრე საზოგადოებამ. პანაშვიდის გათავების შემდეგ პატივცემული დეკანოზი ღამბარაშვილი მოუბრუნდა აქ მდგომ ქართველ ახალგაზდობას და აღელვებულის ხმით უთხრა შემდეგი: დიდათ გმადლობთ, შვილებო, იმ პატივისცემისთვის, რომელიც ამ წმინდა ტაძარში გამოუცხადეგით უდროოთ გარდაცვლებულს ახალგაზდა მწერალ ნინოშვილს! აწინდელი ჩვენი დავრდომილი სამშობლოსთვის მეტის-მეტად საჭიროა ყოველი განათლებული კაცი; ხოლო სიკვდილი ნიჭიერი ქართველისა, ეგრეთ-რიტად, დიდ საზოგადო უბედურებათ უნდა ჩაითვალოს. ვთხოვ ყოვლად შემძლებელ მეუფეს, რათა განსვენებულ ნინოშვილს დაუმკვიდროს სასუფეველი ცათა, და მის სამგიეროთ მრავალი ნიჭიერი, მხნე და პატიოსანი ქართველი აღუდგინოს სამშობლო ქვეყანასა! გაკურთხოთ, შვილებო, თქვენცა და ის ქვეყანაც, რომელიც დაჭაედ და აღზარდა უბედური ნინოშვილი!.“

*** წმინდა შემოსავალი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან გამართულ საღამოდგან დარჩა—2100 მანეთი.

*** ამერი-კავკასიის რკინის გზის გამგეობა აცხადებს, რომ თხუთმეტი მაი'იდგან თხუთმეტ ენკენისთვემდინ შემოღებული იქნება განსაკუთრებული საზოფხულო მატარებელი ტფილისიდგან ხაშურამდე. საზოფხულო მატარებელი ტფილისიდგან წავა ნაშუადღეს სამს საათზე და ხაშურიდგან ტფილისს წამოვა ნაშუადღამევის I საათზე 30 წამზე. ფასი დაკლებულია ერთი-ორად.

*** 9 მაისს, შუადღისას, რკინის გზის მოხელემ 22 წლის ყმაწვილმა კაცმა ა. სოკოლოვსკიმ რევოლვერით თავი მოიკლა. მიზეზი თავის მოკვლისა არავინ იცის. მხოლოდ წერილი იპოვნეს იმის ოთახში დასთან მიწერილი, რომელშიაც ამბობს: სხვა ველარა ვიღონ-რა და თავი მოვიკალიო.

*** ჩვენს ქვეყანაში ბევრგან არიან ჩამოსახლებულები ბერმანელები. წელს 75 წელიწადი შესრულდა მას აქეთ, რაც ესენი დასახლდნენ ჩვენს ქვეყანაში და ამის გამო მათ განზრახეს, რომ 75 წლის იუბილეი თავიანთის დასახლებისა კავკასიაში იღღესასწაულონ. ამ აზრით გერმანელების ახალ-შენთა ობერ-პასტორმა მ. მულლერმა სთხოვა კავკასიის მთავარმართებელს ნება მოგვეცით ეს დღე ვიდღესასწაულოთ და ყოვლად შემძლებელს მადლობა შევსწიროთ, რომ ხელმწიფე იმპერატორის მფარველობის ქვეშე ჩვენი რჯულიც დავიცვით და კეთილ-ცხოვრებაშიაც ვართო.

კავკასიის მთავარ-მართებლის თანშემწემ სათხოვარი ობერ-პასტორისა წარუდგინა სანინოო საქმეთა მინისტრს და ეხლა, როგორც შეიტყეთ, პეტერბურგიდამ დეპეშა მოსულა, რომ მინისტრმა ამ თხოვნაზედ ნება დართოო.

ეს დღესასწაული უნდათ გადაიხადონ ამ თვის 12 რიცხვსა ელენენდორფის ახალ-შენში, განჯის გუბერნიაში. დილით გადაიხდიან ხელმწიფისა და იმისის სახლობის სადღეგრძელო პარაკლისს და ნაშუადღევს გაიმართება მუსიკით სეირნობა, რომლის შემდეგ ხალხს გაუმასპინძლდებიან მინდორში.

*** შარაძისა და ამბანაგობის სტამბას მოუვიდა ბ. ფ. ქორაძისა და ბ. დუმბაძეთაგან ნოტებზე გადაღებული „კურთხეულ ხარ შენ უფალო, რომელი ჰხი ზედა ქერუბინთა“.

*** კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს წელსაც დაუნიშნავს მცოდნე კაცები ტფილისის გუბერნიაში ვენახების გამოსაკვლევად, რომ შეიტყონ ხომ არსად არის აქ ფილოქსერა. ამ თვის პირველიდამ გაიგზავნა სამი დასი. ერთი, აგრონომის თავ. ანდრონიკაშვილის მეთაურობით, ტფილისისა, დუშეთისა, გორისა და ბორჩალოს მაზრების ვენახების გამოსაკვლევად; მეორე, აგრონომის ინანაშვილის მეთაურობით,—თელავისა და თიანეთის მაზრების ვენახების გამოსაკვლევად და მესამე დასი, ბ-ნ ფირალოვის მეთაურობით, სიღნაღისა და კიდევ თელავის მაზრებში, იქაურის ვენახების გამოსაკვლევად.

იმედია, ჩვენი მევენახეები ყოველს შემწეობას აღმოუჩენენ ამ დასებს.

დამაგვირდი

—

ადამიანნი ერთმანეთს აღარ მიეკარებოდნენ, ეოველთვის: რომ ერთი მეორესთვის გული და სული გადაშლილი ჰქონდეთ.

კანტი

**

სიბერეში უფრო ჩქარა აგვიოდებს ხოლმე ქმნა და მოიფრენ, ვიდრე სიყმეწვილეში.

მარია ებნერ-ეშენბახ

**

დიდი სასულელეა, რომ ადამიანმა ეველაზედ დიდი ბედნიერება მოისურვოს.

ლარო-შეფუკო

ᲯᲣᲠᲦᲛᲣᲚᲘ

(გიუიდამ)

მაგრად წერაქმ!.. რაც რომ ბაქს ძალი ჰქონს ზე დაცვი, შეაწუხე ის, ნაბერწყალთ დაჭერის და მათი ალი ამ ჯურღმულ კლდეს ბნელს კარდა აღლის!..

—

სასტიკად სეკდა!.. ბაბის ალითი დასწვა, დასტანჯე სული და გული:— ტანჯვა შეაქმს აზრს და აზრის ძალით იქმნება ბნელი გონთლეულია!..

გრ. აბაშიძე

მიცვალება და დასაფლავება

ეგნატე თომას ძის ნინოშვილისა

(ინგოროყვასი)

შარშანვე ძლიერ ავად იყო ჩვენი ნიჭიერი ახალგაზდა ბელეტრისტი ეგ. ნინოშვილი. თუმცა ეს ავად იყო, მაგრამ მაინც ალაგსა და სამსახურს ეძებდა და უნდოდა საფილოქსერო დასის მოხელედ ჩაწერილიყო, მაგრამ ეს საქმე ვერ მოხერხდა მისთვის. ავადმყოფი ეგნატე, თითქმის ყოველ ვგარ ღონისძიებასა და შეძლებას მოკლებული, ისევ თავის სოფელში წავიდა, გურრას, და ზაფხული იქ გაატარა. შემოდგომაზედ უფრო გაუძლიერდა ავადმყოფობა. მკურნალმა ურჩია ტფილისში, რომ ქობულეთს ან ბათუმს წასულიყო და შემოდგომაცა და ზამთარიც იქ გატარებინა, მაგრამ რადგან ამისათვის საჭირო ღონისძიება არა ჰქონდა, ისევ თავის სოფელს ჩოჩხათს მიაშურა. ჯან-გატეხილი, დასუსტებული და შეუბრალებელის სენით შეპყრობილი ეგნატე მაინც არ ეშვებოდა შრომას და სწერდა თხზულებას თხზულებაზედ: შარშან ზამთარსა და წელს ზაფხულზედ დასწერა მოთხრობა „მოსე-მწერალი“ და „პარტახი“, რომელიც ჯერ არსად არ დაბეჭდილა. სამწუხარო ამბავი მისის გაძლიერებულის ავადმყოფობისა მალე შეიტყო ყველამ და ღონისძიებაც იქმნა დაც ვხედავ რაც არის. უფრთხილდით. Exul sicut mortuus. მე სამარიდამ ველაპარაკებით თქვენ.

რა დიდი რამ არის კაცის ჩამორჩობა და შემდეგ თოკის ჩამოხსნა, ლუსსნების გამოძორობა და გვამის დამარხვა! ჩვენ ზარბაზნებს გავისვრით, აღმოსავლეთისკენ ცოტა კვამლი გაჩნდება და მეტი არაფერი... გერნსი, ტაპნერი, ამაების დასანახავად მიკოსკოპია საჭირო. ბატონო, ეს გვამი, ეს თოკი, ეს დაუნდობელი სარჩობელა, ეს უბედურება—ყოველივე ეს დაუსრულებელია.

ხორცდამ ძალად გაყრილი სულიაი რა არის საშინელება! სახელმწიფო კაცნო, თქვენ გართულნი ხარ სხვადა-სხვა განაზრნი, სხვა-და-სხვა ნადიმით, სხვა-და-სხვა ღიმილით და თქვენის თეთრ ხელთათმნიან თითით ძალიან წინადაუხედავად აწვებით სარჩობელას მავთულს, ხოლო ჩამოსაშვები კარი ჩამორჩობილის ფეხებ ქვეშ ვარდება. იცით რა არის ეს ჩამოსაშვები კარი? ეს დაუსრულებელია, განუზომელია მიუწდომელია; ეს დიდი წყვდიადი, რომელიც საშინელი და ანაზღეულია, თქვენის სულმოკლეობისა და გულნამეცეობის ქვეშ ჩნდება.

—

უფრთხილდით! მომავალი ახლოს არს. მკვდარს თქვენს ცოცხლადა სთვლით და მკვდარი გვონიათ ის, რაც ცოცხალია. ძველი საზოგადოება თუმცა ჯერ კიდევ არსებობს, მაგრამ უკვე მკვდარია. თქვენ შესცდით, ბატონო! წყვდიადში მოჩვენებას გაუშვირეთ ხელი და სასძლოდ გაიხადეთ ის. თქვენ ცხოვრებას ზურგი შეაქცეთ, მაგრამ იგი თქვენ წინაშე სდგას.

დავშთები, მოწყალეო ხელმწიფევ, თქვენი მოსამსახურე ვიქტორ ჰუგო.

ლ. წულაძე

*) დღევანდელ გაზეთში ადგილის უქონლობის გამო ბ. ილ. ფერაძის სიტყვა ვერ დაიბეჭდა.

რედ.

ველივე ეს საშინელებაა. ჩვენ ორთავენი მეტის მეტად კნინი რამა ვართ. მე მხოლოდ სამშობლოდამ განდევნილი კაცი ვარ და თქვენ-კი მხოლოდ მონიტორი. მე ნაცარი ვარ, თქვენ-კი მტვერი. და ორ მცირეს ნაწილს შორის შეუძლებელია საუბარი გაიმართოს. ერთ არარას შეუძლია, რომ მეორე არარას ეს ეშმარიტება ჩაგონოს. იცით, რომ რამდენად ბრწყინვალეც უნდა იყოს თქვენი პოლიტიკა; რამდენად დიდებულიც უნდა იყოს თქვენი კავშირი ბონაპარტთან; რამდენად დიდად მშვენიერიც უნდა იყოს თქვენი საზოგადო ტრიუმფები ოსმალთა ბრძოლაში; მაინც, მოწყალეო ხელმწიფევ, ეს კაცის კისერზე წაჭერილი გამომარყუეებული თოკი, ეს მახე, რომელიც იმ სვე-უბედურს ფეხ ქვეშ დაუგეს, წინდაწინვე დანახვა იმისი, რომ ჩამოვარდნის ხანს ადამიანი კისერს მოიტეხსო, ბნელ სუდარში გახვეული გაფითრებულ-გალურჯებული სახე ადამიანისა, ეს დასისხლებული თვალები, რომლებიც ბუდიდამ გადმოვარდნას აპირებენ, ეს პირიდამ გამოშვერილი ენა, ეს მტანჯველი ხეხინი გამომარყუეებულ თოკს ქვეშ, ეს აშფოთებული სული, რომელიც გამოსასვლელს ვერ პოულობს და თავის ქალაში აქეთ-იქით ეხეთქება, ეს ამაგძაგებულ-აკანკალებული მუხლები, რომლებიც ამაოდ ეძებენ ფეხის დასაბჯენს, ეს შეკრული, უმოძრავი ხელები, რომლებიც გვანშენებენ გვიშველეთო, და ეს მეორე კაცი, შვილი წყვდიადისა, რომელიც მივარდება და დაეკიდება ფეხებზედ სარჩობელაზედ ჩამოკიდულ ადამიანს და მით ამ უკანასკნელს უკანასკნელ გული ძგერას უსპობს,— ყოველივე ეს, მოწყალეო ხელმწიფევ, მაინც საშინელებაა. ხოლო თუ ჩემი ფიქრი, რომელის დაჯერებაც არ მინდა, საფუძვლიანია და ის კაცი, რომელიც ტაპნერს დაეკიდა ფეხებზე, ბონაპარტი იყო —ეს მეტის მეტად უცნაური საქმეა. მაგრამ ვიმეორებ, რომ მე ეს არა მჯერა. თქვენ ამ შემთხვევაში თავისთავად ჰპოვნედმდებით და არავის გავლენის ქვეშ არ ყოფილხართ. თქვენა სთქვით, რო დეე მართლ-მსაჯულებამ თავის გზით იაროს, და ამის შესახებ ბრძანება გაეცით ისე, როგორადაც ყველა სხვა ბრძანება გაგიციათ. ტაპნერის სიკვდილით დასჯის გამო ატეხილი მითქმა-მოთქმა თქვენ ცოტად გეხება. ადამიანის ჩამორჩობა თქვენთვის ისე აღვილი რამ არის, როგორადაც ერთი ჭიქა წყალის დალევა. თქვენ ვერ გიგიეთ ამ საქმის დიდი მნიშვნელობა. ეს სახელმწიფო კაცის ზრით სიმჩატეა და მეტი არაფერი. იყავით თავბრუ-დასხმული ამ ქვეყანად ხოლო საუკუნოსათვის ნუ გინდათ ის. დამიჯერეთ, ნუ ეხუმრებით მას, რასაც საუკუნეთა უფსკრული ეწოდება და ნურარას ჩააგდებთ მაგ უფსკულში. მე უფრო ახლო ვარ ამ უფსკრულთან, ვიდრე თქვენ და კარგადა ვიცი, რომ შემწეობა და დახმარება აღმოსჩენოდა გაჭირებაში ჩავარდნილს მწერალსა და ბელეტრისტს. მაგრამ გვიან-ღა იყო ეს შემწეობა და დახმარება: ახლოვდებოდა უკვე გაზაფხული—ეს საშინელი მტერი ტლექით შეპყრობილთათვის და აპრილის გასულს ეგნატე ნინოშვილი სამუდამოდ დაჭკარგა ჩვეხბა ქვეყანამ და ლიტერატურამ.

ეგნატეს დედ-მამა აღარა ჰყვანდა: დედა წინად მოუკვდა, პატარაობისას, ხოლო მამა შარ-შან გარდაეცალა. ობოლს ეგნატეს გარს ეხვევნენ მხოლოდ ბიძა, ძალუა და მამიდა-დეიდები. ათასში ერთხელ მიდიოდნენ სანახავად მისი ნაცნობ-მეგობარნიცა. უფრო ხშირად იმყოფებოდა მასთან და ბოლოს დროს ხომ სულ აღარ შორდებოდა ერთი მისი მეგობარი და ამხანაგი სილიბისტრო ჯიბლაძე, ნასწავლი ყმაწვილი კაცი, სულითა და გულით მოყვარული ეგნატე ნინოშვილისა და პატივის-მცემელი მისის ნიჭისა და საბელეტრისტო მოღვაწეობისა. სიკვდილის წინად ეგნატე ნინოშვილი, თავის თითქმის განუყრელის მეგობრის რჩევით, ბათუმს წასულიყო და იქ დარჩენილიყო რამდენსამე კვირას, მაგრამ ისე დასუსტებულიყო, რომ თავისით ადგომ-დაჯდომა გასძნელებოდა და ისევ სოფელში დაბრუნებულიყო.

როცა შეწუხებულიყო, ნათესავებს ტირილი დაეწყოთ, მაგრამ ეგნატეს დაეშალა, ნუ ტირით, არა მიშავსარა, არ მოკვდებიო. „რა ვქნა, არა მტკივა-რა თითქო და ვიტანჯები-კი სუსტად ვარ და ვერას ვაკეთებო“, ამბობდა თურმე საწყალი. ბოლოსა და ბოლოს ლოგინად ჩავარდა, ოფლის დენამ თავი დაანება, გაცივდა სულ, ყინულივით იწვა და მაინც სრულს ჭკუასა და გონებაზედ იყო. „როცა მოუახლოვდა ჟამი აღსასრულისა, გვთხოვა, წამომაყენეთო, მიამბო მისმა ამხანაგმა ბ-ნმა სილიბისტრო ჯიბლაძემ:— თავისი პატარა ბიძაშვილი, რომელიც ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში სწავლობს, მე მომანდო, ამისთვის იზრუნეო, შემდეგ ღრმად ამოიოხრა, უთხრა გარშემო მყოფთ, ახლა-კი იტირეთ, რამდენიც გინდათო და სული განუტევა. ძლიერ, ძლიერ იტანჯებოდა საცოდავი უკანასკნელ ხანებში, მთელ ორ-სამ თვეს“.

ტფილისიდგან 7 მაისს გავემგზავრეთ, შაბათ საღამოს. შვიდი-რვანი ვიყავით და გვირგვინები მიგვქონდა. გზა-გზა გვემატებოდნენ ითოთ-ოროლანიც. ხოლო სამტრედიაში დაგვხვდნენ მრავლად მიცვალებულის მგობარნი, ნაცნობნი და პატივისმცემელნი მისის ნიშისა. უფრო გურიის ახალგაზდები იყვნენ. დილის 5—6 საათი იქნებოდა. მთელი ღამე თეთრად გეთენებინათ, თვალები ნამტირალევი ჰქონდათ, ნერვები დასუსტებოდათ, მადლობას გვეუბნებოდნენ თანაგრძნობისათვის და თვალთ ცრემლი მოსდიოდათ. ჩვენი ვაგონი გაივსო გვირგვინებით, რომელთა შორს უფრო ბევრი ყვავილებისა იყო და ამიტომ ვარდისა და მწვანის სუნი დატრიალდა გარშემო. გვირგვინთა რიცხვი იყო სულ 30.

ჯუმათის პატარა სადგურიდამ გავემართეთ ჩიჩხათისკენ 60—80-მდე კაცი და ქალი გვირგვინებით დილის 7 საათზე და 8 საათზე უკვე მიცვალებულის სახლში ვიყავით, რომელიც სულ ტყეშია, მცენარეობით დაფარული. ას-ორას საჟენზედ რომ მივახლოვდით სახლს, წინ მიმავლმა გუნდმა დაიწყო ტირილით მღერა, ნიშნად გლოვისა და მწუხარებისა. მახლობელნი ნათესავნი, ქალები და კაცები, დაგვხვდნენ თმა-გაწეწილნი, მკერდ-გაღეღილნი და გულ-ამოსკვნით სტიროდნენ. მისულთა შორის დიდხანს იტირა და ზარით მოსთქვამდა ვარდენ ყიფიანი, ახალგაზდა კაცი, რომელსაც პირად არას დროს არ ენახა ეგნატე, მაგრამ დიდი პატივისმცემელია მისის ნიშისა, მისის ნაწერებისა.

პატარა შევისვენეთ, მერე გამოვასვენეთ მიცვალებული და გავემართეთ ეკკლესიისაკენ, რომელიც ორის ვერსის მანძილზედ იქნებოდა მიცვალებულის სახლიდგან ერთს მაღალს გორაზედ მშვენივრად ამწყვანებულ ტყით დაბურულ პატარა-პატარა გოროთა-შორის. წინ მიჰქონდათ გვირგვინები, მერე მიდიოდა გუნდი მგალობელთა, სამღვდელოება, შემდეგ მოასვენებდნენ მიცვალებულის კუბოსა, შინაურად გაკეთებულს, მთლიანის წიფლისაგან ამოთალილს და თეთრ საეკკლესიო ფარჩით დადაკრულს. კუბოს უკან მოსდევდა მრავალი ხალხი, კაცი და ქალი. სამღვდელოებამ წირვა გადიხადა, ანდერძი აუგო მიცვალებულს და საფლავის მახლობლად დასვენებულს მიცვალებულს მიჰმართეს სიტყვით. წარმოთქმულ იქნნა ოცზედ მეტი სიტყვა და ლექსი. სიტყვა წარმოსთქვეს, სხვათა-შორის, ბ-ნმა გიორგი წერეთელმა, გრ. ყიფშიძემ, ლავ. წულაძემ, არს. წოთლიძემ, სილიბისტრო ჯიბლაძემ, ისიდ. რამიშვილმა, დარჩიაშვილმა, კაკაბაძემ, დანდურეოვმა, სომეხთა ახალგაზდობის წარმომადგენელმა, ვ. ყიფიანმა, ცინცაძემ, პ. გელეიშვილმა და სხვ. ლექსები სთქვეს: ოლგა ნიკოლოოზის ასულმა ბეჟანაშვილისამ, მალ. ბოლქვაძემ, ალ. წულაძემ და სხვ.

ნაშუადღევის მეოთხე საათზედ მოვიდა მოწვეული ფოტოგრაფი და სურათი გადიღო მიცვალებულის კუბოსი, სამღვდელოებისა და დამსწრეთა მათის გვირგვინებითურთ. გვამი განსვენებულის ეგნატესი მივაბარეთ მიწას და 5 საათზედ ხალხი დაიშალა.

სადილზედ ბ-ნ გიორგი წერეთელმა დალია შესანდობარი გარდაცვალებულისა და ორიოდე სიტყვა წარმოსთქვა ეგნატე ნინოშვილის მოღაწეობის შესახებ გურიის ახალგაზდობის მიმართ და ისურვა მისთვის ყოველი წარმატება და სიკეთე, ისურვა, რომ გურიას სხვაც ბევრი აღეზარდოს იმისთანა ნიჭიერი და სახელოვანი ახალგაზდა, როგორიც იყო ეგნატე ნინოშვილი. თ. ალექსანდრე ზაალის ძემ ჩოლაყაშვილმა მოკლედ და დალაგებით დაახასიათა მიცვალებული, იმის სულისა და გულის ვითარება, იმისი ზნეობრივი სახე და მიმართულება და სთქვა, რომ ეგნატე ნინოშვილი ყოველად ჰატიოსანი, წმინდა ადამიანი იყო, ადამიანი იდეისა, ფიქრ-აზრისა, ქვეყნის სამსახურის სურვილით იმოდენად გატეტეტებული, რომ თავისი თავი სრულიად აღარ ახსოვდა, თავისი ინტერესი უგულებელყოფილი ჰქონდა და ამ მხრივ ის ამ წუთი-სოფელს არ ეკუთვნოდა, იყო კაცი არა ამ სოფლისაო.

საღამოს 6 საათზედ გამოვეთხოვეთ ასე ნუგეშ-ცემულ ჭირის უფლებს, მათ ნათესავებსა და მახლობლებს და ისევ ჯუმათს ჩამოვედით.

გრ. ყ—ძე

სიტყვა

თქმული გრ. ყიფშიძის მიერ ეგ. ნინოშვილის დასაფლავებაზედ

ძმაო ეგნატე! შენმა უდროოდ გარდაცვალებამ მეტად გული დაგვწყვიტა ყველას, ვინც-კი მოვასწარით და თვალი მოვკარით შენს ნიჭს, ვინც-კი წვავიკითხეთ შენის ხელოვნებით დაწერილი მოთხრობანი და მით ვისიამოვნეთ, დავსტკბით. მოვასწარითმეთქი იმიტომ ვამბობ, რომ უცხად ამოაშუქე, სასწრაფოდ ამობრწყინდი და შენი თბილი და ნათელი სხივი ისევ მალე წაგვართვა ჩვენმა შავ-ბნელმა ბედმა. უდროოდ დაგკარგეთ, ძმაო, უდროოდ მოგვტაცა შენი თავი სიკვდილმა და ნეტავ რადა, რისთვის? განა რა დავუშავეთ ისეთი გაწგებას, რომ ასე გაგვმწარა, ასე გაგვირისხდა!?. რად შეჰშურდა იმ დალოცვილს შენი მადლიანი კალამი ჩვენთვის, ჩვენის ბნელითა მოცულის ერისათვის?!.

მოვასწარით-მეთქი, მაგრამ, ვინ იცის, მოვასწარით-კი შენი გაცნობა, შენი დაფასება, შენი შეტკბობა, შენი შეთვისება! არა მგონია, არა! გარშემო სულ ეს ისმის: რა ამბავია, რა მოხდა, ვინ ეგნატეა, ვინ ნინოშვილია? დიაღ, ბევრს დღეს პირველად გვესმის შენი სახელი და გაკვირვებით ვკითხულობთ, ვინ იყო და რა იყოვო. გაკვირვებით ვკითხულობთ ამას ყველანი, ვინც ბნელში ვსხედვართ, ვისაც არ გვინახავს ნაყოფი შენის შემოქმედობისა, ვისაც გული არ შეგვტოკებია შენის ნაწერის კითხვით, ვისაც მთელი ჩვენი არსება არ შეგვრყევია იმ დრამით, რომელიც ისეთის უნარით გადაუშალე თვალ-წინ ქვეყანას შენის „პალიასტომის ტბით“, შენის „სიმონათი“, შენის „ქრისტინეთი“.

დიაღ, გაკვირვებით ვკითხულობთ ამას, იმიტომ რომ მარტო მაშინ ვახელთ თვალს, როცა ცა დაიელვებს, ქუქა-ქუხილით მეხი დაგვეც

реводъ съ англійскаго Д. А. Коропчевскаго). ეს წიგნი, რომელიც შეთხზა მისს არაბელა ბეკლე